გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება №107

2023 წლის 9 ივნისი

ქ. გორი

ქ. გორში, სტალინის გამზირი №10-ის მიმდებარედ ქვეითთა გადასასვლელისთვის ადგილის გამოყოფისა და შესაბამისი საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

საგზაო მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, სტალინის გამზირი №10-ის მიმდებარედ ქვეითთა გადასასვლელისთვის გამოიყოს ადგილი და განთავსდეს საგზაო ნიშნები - 5.19.1, 5.19.2. „ქვეითთა გადასასვლელი".

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. გორში, სტალინის გამზირი №10-ის მიმდებარედ ქვეითთა გადასასვლელისთვის გამოიყოს ადგილი და განთავსდეს საგზაო ნიშნები - 5.19.1, 5.19.2. „ქვეითთა გადასასვლელი".

ქვეითთა გადასასვლელის და საგზაო ნიშნების განთავსების სიტუაციური სქემის პროექტი შეთანხმებულია საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. გორში, სტალინის გამზირი №10-ის მიმდებარედ ქვეითთა გადასასვლელისთვის გამოიყოს ადგილი და განთავსდეს საგზაო ნიშნები - 5.19.1, 5.19.2. „ქვეითთა გადასასვლელი" თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე